



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 მაისი 2026



N 358/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმში შპს „აგთ გერი დონუშუმის“ არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქალაღდის) აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, ქ. ბათუმში შპს „აგთ გერი დონუშუმის“ არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქალაღდის) აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N12;
2. შპს „აგთ გერი დონუშუმი“ ვალდებულია საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N12 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგთ გერი დონუშუმს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგთ გერი დონუშუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/358-21-4-202605271751>





## სკოპინგის დასკვნა N12

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** „არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქალაღდის) აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია“;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „აგთ გერი დონუშუმი“ (ს/კ 445473005);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის V შესახვევი, N3;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 08.04.2026;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „მწვანე ჰორიზონტი ჯორჯია“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

შპს „აგთ გერი დონუშუმი“ მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქალაქ ბათუმში არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქალაღდის) აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აგთ გერი დონუშუმი“ ნარჩენების აღდგენის (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გადამუშავება) და ქალაღდის/მუყაოს ნარჩენების წინასწარი დამუშავების საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, შპს „ავაზას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3759 მ<sup>2</sup> ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.35.28.706), რომლის ძირითად ნაწილს (3734 მ<sup>2</sup>) კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 240 მეტრით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 79 მეტრს, ხოლო უშუალოდ საწარმოს შენობიდან - დაახლოებით 91 მეტრს. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ჭოროხი მდებარეობს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 650 მეტრში. საწარმოს მიმდებარედ წარმოდგენილია კერძო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმო განლაგებულია ქალაქ ბათუმის სამრეწველო ზონაში. ობიექტის გარშემო წარმოდგენილია სხვადასხვა საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოები. კერძოდ, საწარმოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის“ კომპანიის (საავტომობილო ტრანსპორტით საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვები) ტერიტორია, აღმოსავლეთიდან - შპს „მუშის“ ხორბლისა და ფქვილის სასაწყობე მეურნეობისა და საბითუმო გაყიდვების ობიექტი, სამხრეთიდან - შპს „ავაზას“ სამშენებლო

პროდუქციის და საოჯახო საქონლის სასაწყობე მეურნეობა და საბითუმო გაყიდვების ობიექტი, ხოლო დასავლეთიდან - შპს „ლიკაჩი თერმოს“ ქალაქის ერთჯერადი ჭურჭლის საწარმო. ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 260 მეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - შ-1 - ბათუმი (ანგისა)-ახალციხე. აღნიშნული გზიდან საწარმოს ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული გრუნტის გზა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 2520 ტ (2520000 კგ/წელ; 350 კგ/სთ) პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდები: 15 01 02 – პლასტმასის შესაფუთი მასალა; 19 12 04 – პლასტმასი და რეზინი; 07 02 13 – პლასტმასის ნარჩენი; 20 01 39 – პლასტმასი) აღდგენა (ნარჩენების დამუშავების R3 ოპერაცია) და 12000 ტ/წ ქალაქის/მუყაოს ნარჩენების (კოდები: 15 01 01 – ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა; 19 12 01 – ქალაქი და მუყაო; 20 01 01 – ქალაქი და მუყაო) წინასწარი დამუშავება (ნარჩენების დამუშავების R12 ოპერაცია). წელიწადში სულ დაგეგმილია 14520 ტონა არასახიფათო ნარჩენის აღდგენა. საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 3 ცვლიანი და 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოში ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 10 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნარჩენების დამუშავების მიზნით მიღება მოხდება სხვადასხვა ბიზნესპროფილის (სავაჭრო, სამრეწველო და სხვ.) მქონე ობიექტებიდან, იურიდიული და კერძო პირებიდან. ასევე დაგეგმილია აღნიშნული ნარჩენების იმპორტი.

სატრანსპორტო საშუალებებიდან არასახიფათო პლასტმასის ნარჩენების მიღებისა და დროებით დასაწყობების შემდეგ ის მიეწოდება დამაქუცმაცებელ დანადგარს, სადაც გარდაიქმნება ფანტელებად და ცენტრიფუგის საშუალებით გადადის სარეცხ ბლოკში. გარეცხილი ფანტელები მიეწოდება საწურ დანადგარს, ხოლო დაწურული და გამშრალი ფანტელები გადადის აგლომერაციის დანადგარზე. აგლომერიდან მიღებული ნედლეული მიეწოდება გრანულატორს, საიდანაც მიღებული გრანულები ცივდება წყლით გაგრილების მექანიზმით. მიღებული პროდუქტი თავსდება ბუნკერში, საიდანაც ხდება გრანულების სხვადასხვა ზომის ტომრებში გადატანა და შეფუთვა. შეფუთული გრანულირებული პროდუქტები ინახება პროდუქციის საწყობში, შემდგომ რეალიზაციამდე.

საწარმოში ასევე იფუნქციონირებს მუყაოს საპრესი დანადგარი, სადაც მოხდება საწარმოში მიღებული ქალაქის/მუყაოს ნარჩენების წინასწარ დამუშავება. ფუთებად დაპრესილი მუყაო გადაეცემა ადგილობრივ გადამამუშავებელ კომპანიებს ან გავა ექსპორტზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით, რომლითაც ობიექტი მომარაგდება

ქალაქ ბათუმის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება გათვალისწინებულია ნარჩენების გარეცხვისა და ნედლეულის გაგრილების პროცესში, რომელიც წარმოადგენს ბრუნვით სისტემას. ნარჩენების გარეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყალი საწარმოში მოწყობილი 26.88 მ<sup>3</sup> მოცულობის ორსაფეხურიანი სალექარის გავლის შემდეგ ბრუნდება საწარმოო ციკლში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების რეცხვისას წყლის დანაკარგები არ აღემატება 10%-ს, ხოლო გრანულატორის გაციებისას აორთქლების სახით დანაკარგი წელიწადში არ აღემატება 10 მ<sup>3</sup>-ს. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის საასენიზაციო ორმოში, ხოლო მისი გატანა მოხდება პერიოდულად, შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიის მიერ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოხდება ამავე ტერიტორიაზე, გრუნტში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გარეცხვის შედეგად სალექარში დაგროვილი შლამი გატანილი იქნება ბათუმის ნაგავსაყრელზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების დასაქუცმაცებელი წისქვილი, აგლომერატი, გრანულატორი, სარეცხი დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა. ანგარიშის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, საპროექტო ტერიტორიიდან 50 მეტრის ფარგლებში ხმაურის დონე იქნება 38.02 დბ, რაც არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმას. სკოპინგის ანგარიშში გათვალისწინებულია ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, ხმაურის დონეების მონიტორინგი და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. გაფრქვევის ძირითადი წყაროებს წარმოადგენს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების დასაქუცმაცებელი წისქვილი, აგლომერატი და გრანულატორი. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს

დასახლებულ პუნქტებთან არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმებს.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორია ხვდება „ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები საქართველოში“ ფარგლებში (SPA - 16 - Batumi). საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს ტყით დაფარულ არეალს, ასევე არ მდებარეობს საქართველოს დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის სიახლოვეს და წარმოადგენილი არ არის საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი (ჭოროხის დელტა - GE0000054) დაშორებულია 3.4 კმ-ით. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოადგენილი არ არის. საპროექტო არეალი ასევე არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაიმე სახის დაცვის ზონაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ინდუსტრიულ ზონას. შესაბამისად, საწარმოს გარშემო წარმოდგენილია სხვადასხვა განსხვავებული პროფილის საწარმოები. მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან და ხმაურის წარმოქმნასთან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების ანგარიშისას გათვალისწინებული იქნება ასევე შპს „გზის“ და შპს „DAR CAPITAL“-ის საწარმოებიდან გაფრქვევების ინტენსივობები. ხმაურის შემთხვევაში, კუმულაციურ ზემოქმედების დროს გათვალისწინებული იქნება საპროექტო ტერიტორიის შემოგარენში არსებული საწარმოებიდან გამოწვეული ხმაურის სიდიდეები.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქგვერდზე. ასევე, გაეგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 7 მაისს, ქალაქ ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „აგთ გერი დონუმუმის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „მწვანე ჰორიზონტი ჯორჯიას“, ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: საწარმოს წყლით მომარაგებას, ასევე მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის პრობლემას, საწარმოს ტერიტორიიდან მტერის, სუნისა და ხმაურის გავრცელებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და საწარმოს ტერიტორიიდან 100-150 მეტრში საცხოვრებელი სახლების არსებობას. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „აგთ გერი დონუმუმის“ და საკონსულტაციო კომპანია შპს „მწვანე ჰორიზონტი ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე

გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

#### **გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

#### **5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;

- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით (ალტერნატივების ერთმანეთთან შედარებით), მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საქმიანობის და საწარმოს ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქტის დამზადების ჩათვლით). ასევე, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა (დანადგარების ფაქტობრივი ფოტოების წარმოდგენით), თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა (დანადგარების საპასპორტო მონაცემები/ტექნიკური მახასიათებლები) და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ობიექტების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობების შესახებ (წლიური, დღეღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია სასაწყობე ადგილების შესახებ, მათ შორის, დასამუშავებლად მისაღები ნედლეულის, წარმოებული პროდუქციისა და სხვა თანმდევი პროდუქტების დასაწყობების ობიექტებისა და შენახვის პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნარჩენების წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, დასახელების და კოდის (მათ შორის, „სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მიხედვით) შესახებ;
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-

გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;

- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში - ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია საწარმოს ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოში მისაღები/დასამუშავებელი ნარჩენის კოდ(ებ)ის, დასახელებ(ებ)ის, წარმოშობის წყაროს და რაოდენობის შესახებ;
- ნარჩენების დამუშავების აღდგენის ოპერაციის კოდ(ებ)ი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი I-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ასევე, საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია დასაწყობებული ნედლეულისა და მისი მექანიკური/ტექნოლოგიური დამუშავების დანადგარებამდე მიწოდების შესახებ;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლების (დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია სალექარის (ტიპი, განთავსების ადგილი, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა) და მასში დაგროვილი ღამისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

**6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიში;
  - დაზუსტებული ინფორმაცია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ (მეთოდური მითითებით);
  - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
  - მონიტორინგის საკითხები, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N413 დადგენილების შესაბამისად;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება საწარმოსთან უახლოეს მოსახლესთან მონიტორინგის მეთოდი, სიხშირე/პერიოდულობა და სააგენტოში შედეგების წარმოდგენის საკითხი. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ინფორმაცია შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ. ასევე, ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით, 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (როგორც დასაქმებული პერსონალის, ისე უახლოესი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის/მოსახლის შემთხვევაში). ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები; იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია მცირე მანძილით, ხოლო მიმდებარედ ასევე ფუნქციონირებს სხვა საწარმოებიც, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი

ზემოქმედება, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;

- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);

## 7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გარეცხვის შედეგად სალექარში დაგროვილი შლამი გატანილი იქნება ბათუმის ნაგავსაყრელზე.“ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნაგავსაყრელზე განთავსებამდე შლამის დამუშავების (გაშრობის) შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ ერთი ტონა ნედლეულის გასარეცხად გამოიყენება 6 მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით - 15120 მ<sup>3</sup>/წელ. ანგარიშში ასევე მოცემულია, რომ ბრუნვით სისტემაში დანამატების სახით ერთი წლის განმავლობაში საჭიროა 1512 მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო გრანულატორის გაციების დროს აორთქლების სახით დანაკარგის შესავსებად - 10 მ<sup>3</sup>/წელ. ამასთან, აღნიშნულია, რომ „საწარმო ტექნოლოგიურ ციკლში დაახლოებით გამოიყენებს (6 მ<sup>3</sup> + 1512 მ<sup>3</sup> + 10 მ<sup>3</sup>) = 1528 მ<sup>3</sup> წყალს.“ გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე საწარმოო მიზნებისთვის გამოსაყენებელი წყლის ჯამური რაოდენობა;

- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ადგილმდებარეობის ალტერნატივების და ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ, რაც დაზუსტებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- ცხრილი 3.1.1-ში „საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები“ საჭიროებს კორექტირებას. წარმოდგენილი უნდა იყოს მთლიანი ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) კუთხეთა წვეროების კოორდინატები;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საასენიზაციო ორმოს განთავსებისა და განტვირთვის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსალოდნელია გარკვეული სახის ნეგატიური ზემოქმედებები, განსაკუთრებით ფრინველებზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული ბიოლოგიური გარემოს აღწერა და იდენტიფიცირდეს საწარმოს ფუნქციონირებით შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება ფლორისა და ფაუნის სახეობებზე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებასთან ერთად თანდართულ Shp ფაილებში საწარმოს ტერიტორიის გარდა ასევე წარმოდგენილია მიმდებარედ არსებულ საწარმოთა ტერიტორიები, რაც საჭიროებს კორექტირებას. Shp ფაილებში წარმოდგენილი უნდა იყოს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის/ნაკვეთის (მათ შორის, ალტერნატივების) და/ან მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ამსახველი Shp ფაილები;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ უახლოესი მოსახლე ფიქსირდება საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 240 მეტრში, თუმცა საჯარო განხილვაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100-150 მეტრში მდებარეობს არაერთი საცხოვრებელი შენობა. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებითა და საპროექტო არეალის ადგილზე დათვალიერებით დგინდება, რომ უახლოესი მოსახლე/საცხოვრებელი სახლი ფიქსირდება საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 91 მეტრში. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი დაზუსტებას საჭიროებს, დაზუსტების შემთხვევაში აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურითა და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედებების გაანგარიშებისას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

## დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „აგთ გერი დონუმუმის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ქალაქ ბათუმში, არასახიფათო ნარჩენების (პლასტმასისა და ქალაქის) აღდგენის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.